ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3909897

ნომერი: AR1590352

თარიღი : 03.04.2018

გაცემის თარიღი : 12.04.2018

გაცნობის თარიღი : 13.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერისთავი , N 1 , (ნაკვეთი N36/88);

დამკვეთი-განმცხადებელი
- იოსებ კენჭაძე პ/ნ 01023012078
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 41ვ ბ. 25

ორგანიზაცია:
- შპს "გალერეა დიდუბე" კოდი: 400029697

ნომენკლატურა :

- პავილიონი
- II კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო (პავილიონი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვლადიმერ სიმონია

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: იოსებ კენჭაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01023012078

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 2885815
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 11.10.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. გაიცეს: ქ. თბილისში, სექტორი- ნაძალადევი, ქუჩა ერისთავი , N 1 (ნაკვეთი N36/88)-ში, შპს "გალერეა დიდუბე" -ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.12.08.036.088), 11.10.2016 წ. №2885815 ბრძანებით შეთანხმებული არსებული პავილიონის ტიპის შენობების (1/1, 2/1 და 3/1) დემონტაჟის პროექტის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა;
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს: 2018 წლის 12 აპრილიდან 2018 წლის 02 მაისის ჩათვლით;
3. განემარტოს დამკვეთს მშენებლობის მწარმოებელი/დამკვეთი ვალდებულია დაიცვას, კანონმდებლობით, მათ შორის სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.
4. დამკვეთი ვალდებულია სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტაციის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და შემდეგი დოკუმენტაცია, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით:
– საჭიროების შემთხვევაში შენობა ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. #57 დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად;
– დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი 61–ე მუხლის შესაბამისად.
– სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმის დაცვით და უზრუნველყოფილ იქნას მომიჯნავე შენობის კონსტრუქციული მდგრადობა.
– დემონტაჟი განხორციელდეს ტერიტორიაზე არსებული ხე– ნარგაობების დაუზიანებლად;
– ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს არსებული კომუნიკაციების დაუზიანებლად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან;
5. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, საპროექტო შენობის ვიზუალიზაციით და შესაბამისი რეკვიზიტებით

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებლ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს «საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი» საქართველოს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მერიის ცხელ ხაზს - ტელ: 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. №7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე №4.